კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“

წ ე ს დ ე ბ ა

17 მაისი, 2024 წელი

თბილისი

მუხლი 1. ინსტიტუტის სამართლებრივი ფორმა და სხვა ზოგადი დებულებები

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი: „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“ (შემდგომში ინსტიტუტი) წარმოადგენს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად შექმნილ, წევრობაზე დაფუძნებულ, კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდულ პირს.

2. ინსტიტუტის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

3. ინსტიტუტის სახელწოდებაა: „ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი“. ინსტიტუტის სახელწოდება ინგლისურად: “Institute for Development of Freedom of Information (IDFI)”

4. ინსტიტუტი თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციისა და კანონმდებლობის, ამ წესდების, შინაგანაწესის და შიდა რეგულაციების შესაბამისად.

5. ინსტიტუტის იურიდიული მისამართია: ნიაღვრის ქუჩა № 4, ბინა №18, თბილისი 0108, საქართველო.

6. ინსტიტუტის ერთიანი ელექტრონული პორტალის მართვაზე პასუხისმგებელი პირია ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი - გიორგი კლდიაშვილი (პ/ნ: 01017005502; მობილური ტელ: 599 77 01 00; email: g.kldiasvili@idfi.ge).

7. ინსტიტუტის ოფიციალური ვებ გვერდის მისამართია: www.idfi.ge

8. ინსტიტუტის ელ-ფოსტის მისამართია: info@idfi.ge

9. ინსტიტუტის დამფუძნებლები არიან:

   ლევან ავალიშვილი (პ/ნ: 01024005626, დაბადების თარიღი: 29 ნოემბერი, 1978, მის: ნუცუბიძის მე-5 მიკრორაიონი, კორპ.№9, ბინა №27.)
   გიორგი კლდიაშვილი (პ/ნ: 01017005502, დაბადების თარიღი: 21 ივნისი 1979, მის: ქ. თბილისი, ნიაღვრის ქუჩა № 4, ბინა №18.)

10. ინსტიტუტი თავისი წევრის (წევრების), აგრეთვე ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) მდგომარეობისაგან დამოუკიდებელია. ინსტიტუტის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მისი ქონებით. ინსტიტუტის ვალდებულებებისათვის მისი წევრები, აგრეთვე მისი ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) პასუხს არ აგებენ. ინსტიტუტი არ აგებს პასუხს აგრეთვე საკუთარი წევრების, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის (პირების) ვალდებულებებისათვის.

11. ინსტიტუტს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, შეუძლია გახსნას ნებისმიერი ტიპის მათ შორის სავალუტო ანგარიში საქართველოსა და უცხოეთის საბანკო დაწესებულებებში.

12. დასახული მიზნების მისაღწევად ინსტიტუტი უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით დააფუძნოს ფილიალები, წარმომადგენლობები, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

13. ინსტიტუტს შეუძლია გაწევრიანება სხვა საზოგადოებრივ გაერთიანებებში (მათ შორის საერთაშორისოში).

14. დასახული მიზნებიდან გამომდინარე, ინსტიტუტი მოქმედებს, როგორც საქართველოს, ასევე სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე.

მუხლი 2. ინსტიტუტის ხედვა, მისია, მიზნები და საქმიანობის ფორმები

1. ინსტიტუტის ხედვაა - ინფორმირებული და ძლიერი საზოგადოება დემოკრატიული მმართველობისთვის.

2. ინსტიტუტის მისიაა - საზოგადოების გაძლიერება და მისი ინკლუზიურობისა და ინფორმირებულობის გაზრდა. ამ მიზნით, ინსტიტუტი მუშაობს სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებაზე, დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებასა და ადამიანის უფლებების დაცვაზე, ხელს უწყობს კარგი მმართველობის დანერგვას და ამზადებს ინფორმაციულ ანგარიშებს, ხარისხიან კვლევებს და რეკომენდაციებს; ინსტიტუტი ადვოკატირებას უწევს ახალ ინიციატივებს და არსებული პოლიტიკის, კანონებისა და პრაქტიკის რეფორმებს.

3. ინსტიტუტის ძირითადი მიზნებია:

3.1. დემოკრატიული მმართველობისა და დემოკრატიული ინსტიტუტების მხარდაჭერა, ინფორმაციის თავისუფალების უფლების განვითარება;

3.2. საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაძლიერება;

3.3. დემოკრატიული ინსტიტიტუტების დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და ანგარიშვალდებულების განვითარება, სამართლის უზენაესობის პრინციპების გაძლიერება. სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარების ხელშეწყობა;

3.4. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ინსტიტუციური მექანიზმების ჩამოყალიბება, ანტიკორუფციული პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობა, კორუფციის წინააღმდეგ

ბრძოლის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება;

3.5. მართლმსაჯულებისა და სასამართლოს სისტემის განვითარების მხარდაჭერა; ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების განვითარების ხელშეწყობა;

3.6. საქართველოში საჯარო მმართველობის განვითარების და რეფორმების ხელშეწყობა; საჯარო მმართველობაში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების გამოყენების განვითარება;

3.7. არქივების ღიაობის ხელშეწყობა, საბჭოთა წარსულის კვლევა და მასზე ცნობიერების ამაღლება;

3.8.გამოხატვის თავისუფლების, მედიის თავისუფლების და მედია პლურალიზმის ხელშეწყობა;

3.9. ბავშვთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების განვითარება;

3.10. საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობების შესაძლებლობების განვითარებისა და გაძლიერების ხელშეწყობა, ღია მმართველობის, მოქალაქეთა ჩართულობის, ანგარიშვალდებულების და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად;

3.11. საგანმანათლებლო საქმიანობა ადამიანის უფლებების, დემოკრატიული მმართველობის, გამოხატვის თავისუფლების, მედიის თავისუფლების, ელ-მმართველობის და ინტერნეტის, საჯარო მმართველობის, კორუფციის წინაღმდეგ ბრძოლის, სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის, საარქივო საქმის, ისტორიის და სხვა მიმართულებებით;

3.12. სამოქალაქო ინიციატივების მხარდაჭერა, რომლებიც ხელს შეუწყობს საქართველოს დემოკრატიულ განვითარებას;

4. ინსტიტუტის საქმიანობა მოიცავს შემდეგ სფეროებს:

4.1. საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობისა და საზოგადოებრივი ანგარიშვალდებულების მონიტორინგის განხორციელება;

4.2. საკანონმდებლო, სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისთვის რეკომენდაციების შემუშავება;

4.3. საკანონმდებლო წინადადებების შემუშავება და ექსპერტული შეფასება; სამართალშემოქმედებით პროცესში მონაწილეობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

4.4. სამეცნიერო, კვლევითი, საექსპერტო და საკონსულტაციო საქმიანობა. ინსტიტუტის

კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხებზე ტრეინინგების ჩატარება ან/და მათში მონაწილეობა;

4.5. კვალიფიკაციის ასამაღლებელი სასწავლო-მოსამზადებელი და სხვა სახის პროგრამების, კონფერენციების, ასევე, პროფესიული სახის ტრენინგებისა და სემინარების, შეხვედრების ჩატარება;

4.6. კვლევის შედეგების კერძოდ, წიგნების, ჟურნალების, საინფორმაციო სახის ბუკლეტების თუ ბროშურების გამოცემა, გამოქვეყნება აგრეთვე ელექტრონული რესურსების შექმნა და განვითარება;

4.7. უფასო სამართლებრივი დახმარებისა და უფასო საკონსულტაციო მომსახურების გაწევა ადამიანებისთვის, სახელმწიფო დაწესებულებებისთვის, ისევე როგორც კერძო და საჯარო სამართლის იურიდიული პირებისთვის;

4.8. საჯარო დაწესებულებებთან თანამშრომლობა. საჯარო სამართლით გათვალისწინებულ სამართლებრივი მნიშვნელობის მქონე პროცესებში, მათ შორის, თანამდებობის პირთა შესარჩევ კონკურსებში ჩართულობა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

4.9. საქველმოქმედო საქმიანობა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გრანტების (ქვეგრანტების) გაცემა.

5. ინსტიტუტი საკუთარი მიზნების შესაბამისად და საჭიროებისამებრ, უფლებამოსილია განახორციელოს ყველა სხვა საქმიანობა და გამოიყენოს საქმიანობის ნებისმიერი ფორმა, რომელიც კანონმდებლობით არ არის აკრძალული.

6. ინსტიტუტი უფლებამოსილია განახორციელოს კომერციული საქმიანობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი უნდა მოხმარდეს ინსტიტუტის მიზნებს.

მუხლი 3. ინსტიტუტის მმართველობითი ორგანოები

1. ინსტიტუტის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა საერთო კრება, რომელიც განსაზღვრავს ინსტიტუტის საქმიანობის მიზნებს და სტრატეგიას, ირჩევს აღმასრულებელ დირექტორსა და მის მოადგილეს.

2. ინსტიტუტის ყოველდღიურ საქმიანობას წარმართავს აღმასრულებელი დირექტორი და აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე. აღმასრულებელი დირექტორი და აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე ინსტიტუტის ხელმძღვანელობით უფლებამოსილებებს ახორციელებენ როგორც ერთობლივად, ასევე ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, ცალ-ცალკე.

მუხლი 4. ინსტიტუტის საერთო კრების ფორმირება

1. ინსტიტუტის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა საერთო კრება. საერთო კრება შედგება ინსტიტუტის დამფუძნებლებისგან და ინსტიტუტის წევრებისგან. ინსტიტუტის დამფუძნებელი წევრები არიან ამ წესდების, პირველი მუხლის მე-9 პუნქტით გათვალისწინებული პირები. ინსტიტუტის დამფუძნებლები ამავდროულად სარგებლობენ ინსტიტუტის წევრის ყველა უფლებითა და ვალდებულებით;
2. საერთო კრების წევრთა საერთო რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 9 ფიზიკურ პირს;
3. ინსტიტუტის წევრი შეიძლება გახდეს ფიზიკური პირი, რომელიც იცნობს და იზიარებს ინსტიტუტის მიზნებს, გააჩნია ინსტიტუტის მიზნების მისაღწევად საჭირო კვალიფიკაცია, გამოცდილება და რეპუტაცია;
4. ინსტიტუტის წევრი არ შეიძლება იყოს პოლიტიკური პარტიის წევრი ან/და საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული პირი.
5. ინსტიტუტში გაწევრიანების მსურველი პირი წერილობითი განცხადებით მიმართავს ინსტიტუტის საერთო კრებას. წერილობითი განცხადება უნდა შეიცავდეს დადასტურებას, რომ წევრობის მსურველი არ არის პოლიტიკური პარტიის წევრი და იგი არ არის დასაქმებული საჯარო სამსახურში.
6. პირს ინსტიტუტის წევრობა შეუწყდება შემდეგი საფუძვლების არსებობისას:
   6.1. პირადი განცხადების საფუძველზე;
   6.2. გარდაცვალების, სასამართლოს გადაწყვეტილებით პირის გარდაცვლილად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში;
   6.3. წესდებით გათვალისწინებული ვალდებულებების უხეში დარღვევის შემთხვევაში;
   6.4. ინსტიტუტის მიზნების წინააღმდეგ მოქმედების, ინსტიტუტის პრინციპებთან და მიზნებთან შეუთავსებელი საქმიანობის განხორციელების ან/და თანამდებობის დაკავების, აგრეთვე ინსტიტუტის ავტორიტეტისა და საქმიან რეპუტაციას კომერციული, პოლიტიკური ან პირადი მიზნებისთვის გამოყენების შემთხვევაში;
   6.5. სხვა გარემოების არსებობისას, რომელიც გამორიცხავს მის მიერ ინსტიტუტის წევრის უფლებამოსილების განხორციელების შესაძლებლობას;
7. პირის ინსტიტუტში გაწევრიანების ან/და წევრობის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ინსტიტუტის საერთო კრება.
8. ინსტიტუტის წევრი უფლებამოსილებას ახორციელებს პირადად. უფლებამოსილების მესამე პირის გადაცემა/მინდობა დაუშვებელია.
9. ინსტიტუტის წევრი უფლებებამოსილია ხმის უფლებით მიიღოს მონაწილეობა საერთო კრების სხდომაში და წარადგინოს მოსაზრება საერთო კრების მიერ გადასაწყვეტ საკითხ(ებ)ზე. ინსტიტუტის წევრი დაუბრკოლებლად სარგებლობს ამ წესდებით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილებებით.
10. ინსტიტუტის წევრი ვალდებულია იმოქმედოს კეთილსინდისიერად და გაუფრთხილდეს ინსტიტუტის საქმიან რეპუტაციას. ინსტიტუტის წევრმა საკუთარი კომპეტენციისა და უფლებამოსილების ფარგლებში უნდა მიიღოს ყველა ზომა ინსტიტუტის მიზნების მისაღწევად.

მუხლი 5. საერთო კრების მოწვევა, გადაწყვეტილების მიღების წესი

1. საერთო კრება მოიწვევა ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორის ან მისი მოადგილის მიერ მიერ წელიწადში ერთხელ წერილობითი ელექტრონული შეტყობინების გაგზავნის გზით, კრების ჩატარებამდე სულ მცირე (5) ხუთი დღით ადრე. შეტყობინების გაგზავნის ფორმა უნდა იძლეოდეს შეტყობინების მიღების დადასტურების შესაძლებლობას.
2. რიგგარეშე საერთო კრება შესაძლებელი მოწვეულ იქნეს საჭიროებისამებრ ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორის ან დირექტორის მოადგილის გადაწყვეტილებით, აგრეთვე წევრთა ½-ის მოთხოვნით. რიგგარეშე საერთო კრება შეიძლება მოწვეულ იქნეს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადის დაცვის გარეშე თუ აღნიშნულზე თანხმობას გამოხატავს საერთო კრების ყველა წევრი.
3. საერთო კრებას ირჩევს საერთო კრების თავჯდომარეს. კრების თავმჯდომარე აირჩევა დამსწრე წევრებიდან, ½-ის უმრავლესობით. საერთო კრებას შეიძლება ესწრებოდეს მოწვეული პირები თუ ეს აუცილებელი გადასაწყვეტი საკითხის სრულყოფილად გამოკვლევის/შეფასების მიზნით.
4. საერთო კრების თითოეულ წევრს აქვს ერთი (1) ხმა. საერთო კრება შეიძლება ჩატარდეს როგორც ფიზიკურად ისე ელექტრონული ვიდეო კომუნიკაციის საშუალებით. საერთო კრების გადაწყვეტილება ფორმდება საერთო კრების სხდომის ოქმით, რომელსაც ხელს აწერს საერთო კრებაზე დამსწრე ყველა წევრი. საერთო კრების წევრს აქვს განსხვავებული აზრის დაფიქსირების უფლება, რომელიც შეიტანება სხდომის ოქმში.
5. საერთო კრების ოქმს ადგენს საერთო კრების თავჯდომარე საერთო კრების დასრულებიდან არაუგვიანეს 7 დღის ვადაში.

6. ინსტიტუტის წევრთა საერთო კრების კომპეტენციას განეკუთვნება:

   6.1. წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა;

   6.2. ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორისა და მისი მოადგილის არჩევა და უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა; ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორის მიერ წარდგენილი საქმიანობის ანგარიშის დამტკიცება;

   6.3. ინსტიტუტის უძრავი ქონების გასხვისების, იპოთეკით/გირავნობით დატვირთვის, აგრეთვე მოძრავი ქონების 1/2-ზე მეტის გასხვისების თაობაზე გარიგების დადების შესახებ თანხმობის გაცემა;
   6.4 ინსტიტუტის საქმიანობის შეწყვეტის (ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია) შესახებ გადაწყვეტილებათა მიღება;
   6.5. სხვა გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის ან/და ამ წესდების შესაბამისად საერთო კრების ექსკლუზიურ კომპეტენციას მიეკუთვნება.

7. ინსტიტუტის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილება, რომელიც საჭიროებს ნოტარიულ

დამოწმებას ან/და რეგისტრაციას მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში ძალაშია, შესაბამისად, დამოწმების ან/და რეგისტრაციის შემდგომ. საერთო კრების სხვა გადაწყვეტილება ძალაშია დამტკიცებისთანავე.

8. საერთო კრება უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება, თუ მას ესწრება წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარი მაინც. გარდა ამ მუხლის 6.4. ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, აგრეთვე წესდებით გათვალისწინებული სხვა გამონაკლისებისა, საერთო კრების გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრების ხმათა უმრავლესობით.

9. ამ მუხლის 6.4 ქვეპუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება მიიღება საერთო კრების სრული შემადგენლობის ¾-ის მიერ.

მუხლი 6. აღმასრულებელი დირექტორი და აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე

1. ინსტიტუტის ყოველდღიურ საქმიანობას ხელმძღვანელობენ აღმასრულებელი დირექტორი და აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე. აღმასრულებელი დირექტორი და მისი მოადგილე არიან ინსტიტუტის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები. აღმასრულებელი დირექტორი და აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე ინსტიტუტის ხელმძღვანელობით და წარმომადგენლობით უფლებამოსილებებს ახორციელებენ როგორც ერთობლივად, ასევე ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, ცალ-ცალკე.
2. აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე აღჭურვილია აღმასრულებელი დირექტორის ყველა უფლებამოსილებით და ეკისრება აღმასრულებელი დირექტორის ყველა ვალდებულება.
3. აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე აირჩევა აღმასრულებელ დირექტორთან ერთად. აღმასრულებელი დირექტორისა და მისი მოადგილის თანამდებობრივი უფლებამოსილებები ერთმანეთზე დამოკიდებული არ არის. აღმასრულებელი დირექტორის უფლებამოსილების შეწყვეტა არ იწვევს მოადგილის უფლებამოსილების შეწყვეტას.
4. აღმასრულებელი დირექტორი და მისი მოადგილე აირჩევა საერთო კრების მიერ 3 (სამი) წლის ვადით. აღმასრულებელი დირექტორისა და მისი მოადგილის უფლებამოსილება გრძელდება ამ ვადის გასვლის შემდეგაც, ახალი აღმასრულებელი დირექტორისა ან/და დირექტორის მოადგილის არჩევამდე. აღმასრულებელი დირექტორი და მისი მოადგილე თანამდებობაზე შეიძლება ხელახლა დაინიშნონ ზედიზედ ორი ვადით.
5. აღმასრულებელ დირექტორად ან აღმასრულებელი დირექტორის მოადგილედ არ შეიძლება არჩეულ იქნეს პირი, რომელიც არის პოლიტიკური პარტიის წევრი ან/და დასაქმებულია საჯარო დაწესებულებაში.
6. აღმასრულებელი დირექტორისა და მისი მოადგილის უფლებამოსილება შეიძლება

ვადაზე ადრე შეწყდეს ინსტიტუტის წევრთა საერთო კრების გადაწყვეტილებით, უფლებამოსილებების განზრახ არაკეთილსინდისიერად ან პირადი მიზნებით გამოყენებისას, გათვალისწინებული წესით. გადაწყვეტილება აღმასრულებელი დირექტორისა ან/და აღმასრულებელი დირექტორის მოადგილის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე მიიღება საერთო კრების მიერ.

7. ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორია გიორგი კლდიაშვილი (პ/ნ: 01017005502, დაბადების თარიღი: 21 ივნისი 1979, მის: ქ. თბილისი, ნიაღვრის ქუჩა № 4, ბინა №18.)
8. ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილეა (ლევან ავალიშვილი (პ/ნ:01024005626, დაბადების თარიღი: 29 ნოემბერი, 1978, მის: ნუცუბიძის მე-5 მიკრორაიონი, კორპ.№9, ბინა №27.)

მუხლი 7. აღმასრულებელი დირექტორისა და აღმასრულებელი დირექტორის მოადგილის უფლებამოსილებები

1. აღმასრულებელი დირექტორისა და აღმასრულებელი დირექტორის მოადგილის კომპეტენციას განეკუთვნება:
   1.1. ინსტიტუტის ყოველდღიური საქმიანობის მართვა ინსტიტუტის მიზნების მისაღწევად. ინსტიტუტის წარმოდგენა მესამე პირებთან, მათ შორის, სახელმწიფო ორგანოებთან და საჯარო დაწესებულებებთან ურთიერთობაში.
   1.2. ინსტიტუტის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის დამტკიცება. წელიწადში ერთხელ ან მოთხოვნისამებრ, საერთო კრებისთვის ინსტიტუტის საქმიანობის ანგარიშის წარდგენა.
   1.3. წინადადებების მომზადება ინსტიტუტის წესდებაში ცვლილებების შესატანად და მათი საერთო კრებისთვის წარდგენა. ინსტიტუტის ფილიალების და წარმომადგენლობების შექმნა და მათი საქამიანობის კოორდინაცია.
   1.4. გადაწყვეტილებათა მიღება, რომლებიც დაკავშირებული ახალი გრანტის მიღებასთან, პროექტების დამტკიცებასთან ან/და ქვეგრანტების გაცემასთან;
   1.5. ინსტიტუტის ორგანიზაციული სტრუქტურის და საშტატო განრიგის დამტკიცება. თანამშრომელთა აყვანა და გათავისუფლება.
   1.6. ინსტიტუტის ქონების მართვა და განკარგა ინსტიტუტის ორგანიზაციული განვითარებისა და ამ წესდებით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად.
2. აღმასრულებელი დირექტორი და აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე გადაწყვეტილებას იღებენ ყველა იმ საკითხზე, რომელიც არ მიეკუთვნება ინსტიტუტის საერთო კრების კომპეტენციას. აღმასრულებელი დირექტორი და დირექტორის მოადგილე, თავისი უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოსცემენ შიდა ორგანიზაციულ სამართლებრივ აქტებს - ბრძანებებსა და განკარგულებებს.
3. აღმასრულებელი დირექტორი და მისი მოადგილე ამ მუხლით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს ახორციელებენ როგორც ერთობლივად, ასევე დამოუკიდებლად - ცალ-ცალკე.

მუხლი 8. საერთო კრების საკონტროლო უფლებამოსილება და დროებითი

ორგანოები

1. საერთო კრება უფლებამოსილია კითხვით მიმართოს აღმასრულებელ დირექტორს ან აღმასრულებელი დირექტორის მოადგილეს მათ კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხ(ებ)თან დაკავშირებით. კითხვის ადრესატი ვალდებულია პასუხი გასცეს საერთო კრების შეკითხვას.
2. ინსტიტუტის წევრთა საერთო კრებას შეუძლია, საჭიროების შემთხვევაში, შექმნას დროებითი კომისიები, რომელთაც საერთო კრებებს შორის პერიოდში შეიძლება გადაეცეთ კომისიის წინაშე დასმული საკითხის შესწავლის სპეციალური უფლებამოსილება.
3. კომისიათა დებულებები, შემადგენლობა, მათი კომპეტენცია და ფუნქციონირების წესი მუშავდება და მტკიცდება საერთო კრების მიერ.

მუხლი 9. ინსტიტუტის ქონება

1. ინსტიტუტის ქონება იქმნება მოპოვებული გრანტებისგან, შემოწირულობებისგან და ინსტიტუტის წესდებით გათვალისწინებული მიზნებისათვის კანონით ნებადართული ნებისმიერი ფორმით მიღებული ქონებისგან, მათ შორის დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობით მიღებული და სხვა კანონიერი შემოსავლებისგან.
2. ინსტიტუტის ქონება შეიძლება მოხმარდეს მხოლოდ მის საწესდებო მიზნებს და შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ამ მიზნების განხორციელების ან/და ორგანიზაციული განვითარების ხელშეწყობისთვის.

მუხლი 10. ფინანსური კონტროლი და ანგარიშგება

1. ინსტიტუტი აწარმოებს ფინანსურ და ბუღალტრულ აღრიცხვას საერთაშორისო სტანდარტებისა და საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების შესაბამისად.
2. აღრიცხვის მდგომარეობაზე, ბუღალტრული და სხვაგვარი აღრიცხვის დროულ წარდგენაზე პასუხიმგებლობა ეკისრება აღმასრულებელ დირექტორსა და მის მოადგილეს.

მუხლი 11. კონფიდენციალობა

1. ინსტიტუტის ყველა წევრი, ისევე, როგორც ორგანიზაციის ყველა თანამშრომელი, ვალდებულია დაიცვას ინფორმაციის კონფიდენციალობა;

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნულ პირებს არ აქვთ უფლება აღმასრულებელი დირექტორის ან მისი მოადგილის თანხმობის გარეშე პირადი მიზნით გამოიყენონ ან გაავრცელონ ინსტიტუტის საქმიანობასთან დაკავშირებით მათთვის განდობილი

კონფიდენციალური ინფორმაცია.

3. ამ მუხლში აღნიშნული ვალდებულებები ძალაში რჩება ამ მუხლში დასახელებული პირების უფლებამოსილების შეწყვეტის შემდგომაც.

მუხლი 12. ინსტიტუტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

1. ინსტიტუტის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით. რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ინსტიტუტის საერთო კრება.

2. ინსტიტუტის ლიკვიდაციის შემთხვევაში უნდა დამთავრდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულადი ფორმით, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები. დარჩენილი ქონება გადაეცემა სხვა არაკომერციულ (არასამეწარმეო) იურიდიულ პირს, რომელიც მოქმედებს ამ წესდებით გათვალისწინებული მიზნების იდენტური ან მსგავსი მიზნების მისაღწევად. ქონების მიმღებ იურიდიულ პირს განსაზღვრავს საერთო კრება.

მუხლი 13. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესდება ძალაში შედის მისი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრში მისი რეგისტრაციის მომენტიდან.

2. წინამდებარე წესდების ძალაში შესვლითანავე ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი ინსტიტუტის 2017 წლის 16 მარტის წესდება.

3. წესდების რომელიმე დებულების/მუხლის გაუქმება, ბათილად ცნობა ან შეცვლა გავლენას არ ახდენს წესდების სხვა დებულებაზე/მუხლზე.

4. წესდებაში ხარვეზების არსებობისას გამოიყენება კანონით დადგენილი პირობები.

5. წინამდებარე წესდება შედგენილია ორ ეგზემპლარად, რომელიც კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით ინახება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრსა და ინსტიტუტში

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები:

დავით მაისურაძე (პ/ნ: 59002007532), თავმჯდომარე ----------

ნათია კუპრაშვილი (პ/ნ: 60001006837) ----------

ნინო ვასაძე (პ/ნ:01017008742) ----------

დიმიტრი ალექსიძე (პ/ნ: 01031000775) ----------

ქეთევან გომელაური (პ/ნ: 01017007881) ----------

ნინო ჩიქოვანი (პ/ნ: 01008020903) ----------

ნიკოლოზ სიმონიშვილი (პ/ნ: 20001062294) ----------

ინსტიტუტის დამფუძნებლები:

ლევან ავალიშვილი (პ/ნ:01024005626) ----------

გიორგი კლდიაშვილი (პ/ნ: 01017005502) ----------